დადგენილება:**დ-37. 3726175001**
თარიღი:**24/06/2026**

დადგენილება N10

2026 წლის 24 ივნისი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი" დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს „ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა”-ს ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის №28 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 13/04/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.113.016348).

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი